KARR1389017326522

№13-32624
07 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ქალბატონ ნათია მერებაშვილს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის არტურ დავთიანის 2022 წლის 22 თებერვლის N21/22-167-22 ოფიციალური მიწვევის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე 2022 წლის 18-20 აპრილს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მიემგზავრება სომხეთის რესპუბლიკაში, კერძოდ დედაქალაქ ერევანში.

საქართველოს პროკურატურის ოფიციალური დელეგაცია საქართველოს გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით: გიორგი გაბიტაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, ირაკლი ჩილინგარაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, მალხაზ კაპანაძე საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი და ავთანდილ კოჭლამაზაშვილი საქართველოს პროკურატურის შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურორი.

მასპინძელი მხარის დელეგაცია სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით: აიკ ასლანიანი - სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, ვაგე არუთუნიანი - სამხედრო პროკურორი, სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, არმენ აფანდიანი - სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, გევორგ ბაგდასარიანი - სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, სრბუი გალიანი - სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, ეგიაზარ ავაგიანი - სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი.

სამუშაო ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, დაგეგმილია ოფიციალური შეხვედრების გამართვა სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან, ასევე დაგეგმილია საქართველოს პროკურატურასა და სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მასპინძელი მხარისთვის საჩუქრად გადასაცემად, პროტოკოლით გათვალისწინებული და დაგეგმილია ფიროსმანის წიგნი-ალბომის, ქართული წარმოების სუვენირების, ქართული ღვინის, ქართული წარმოების ტკბილეულის (ჩურჩხელა, ჩირი შოკოლადი) და ჩაის საჩუქრად გადაცემა, ასევე გათვალისწინებულია აღნიშნული საჩუქრების შესაბამის სასაჩუქრე ყუთებში განთავსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტს თანდართული ინვოისების შესაბამისად უზრუნველყოს დასახელებული ნივთების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

დანართი: „05“ ფურცლად.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე